

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

დადგენილება №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სამშენებლო ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მცირდება 160 748 ლარით, რაც გამოწვეულია სტუდენტთა კონტინგენტის შემცირებით და ნაცვლად გათვალისწინებული 5 663 895 ლარისა, შეადგენს 5 503 147 ლარს. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსებისთვის გადასაცემი თანხა არ შეცვლილა და შეადგენს 792 945 ლარს; ხოლო ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისთვის გადასაცემი თანხა გაიზარდა 25 919 ლარით და შეადგინა 235 102 ლარი. აქედან 135 269 ლარი მიემართება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში, 37 645 ლარი – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში, 54 908 ლარი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში, ხოლო 7 280 ლარი – საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნებები განისაზღვროს 4 475 100 ლარით, ანუ დაგეგმილზე 186 667 ლარით ნაკლები. შესაბამისად, შემცირდეს გადასახდელები, კერძოდ: „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის“ ხარჯი – 38 639 ლარით; „კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები“ – 15 000 ლარით; „რეკლამის ხარჯი“ – 35 000 ლარით; „სესიების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯები“ - 15 000 ლარით; „საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების“ ხარჯი – 10 000 ლარით; „სამეცნიერო ხარჯები“ - 50 000 ლარით; „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის “დამქირავებლის მიერ გაწეული

სოციალური დახმარების“ პუნქტი – 20 000 ლარით, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტი – 3 028 ლარით;

ასევე, განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: „წარმომადგენლობითი ხარჯებიდან“ 30 000 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში“, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტიდან 8 280 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა ხარჯების“ მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტში ემერიტუსების ასანაზღაურებლად;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მცირდება 66 000 ლარით, რაც გამოწვეულია სტუდენტთა კონტინგენტის შემცირებით და განისაზღვრება 6 193 608 ლარით. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა არ იცვლება და განისაზღვრება 880 000 ლარით. ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დაფინანსებისათვის გადასაცემი თანხა გაიზარდა 11 328 ლარით და შეადგინა 288 536 ლარი, აქედან 176 283 ლარი მიემართება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში, 26 454 ლარი – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში, 75 249 ლარი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში, ხოლო 10 550 ლარი – საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის ასიგნებები განისაზღვროს 5 025 072 ლარით, ანუ დაგეგმილზე 77 328 ლარით ნაკლები. შესაბამისად, შემცირდეს გადასახდელები, კერძოდ: „ელექტროენერჯის ხარჯი“ შემცირდეს 20 000 ლარით, „წყლის ხარჯი“ – 56 550 ლარით, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტი – 778 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: „ინტერნეტის ხარჯიდან“ 8 800 ლარი გადატანილ იქნეს „ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯებში“, „წყლის ხარჯიდან“ 15 000 ლარი – „ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯებში“, ხოლო „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტიდან 4 000 ლარი – „სხვა შენობა-ნაგებობების“ პუნქტში;

3. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 2 514 ლარით და განისაზღვრება 3 148 386 ლარით. ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად გასაცემი თანხა გაიზარდა 3 200 ლარით და შეადგინა 65 488 ლარი, აღნიშნული თანხიდან 49 350 ლარი მიემართება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში, 12 938 ლარი – სამთო-

გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში, ხოლო 3 200 ლარი – საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში. არ იცვლება ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა და განისაზღვრება 70 000 ლარით. ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნებები განისაზღვროს 3 314 651 ლარით, ანუ დაგეგმილზე 5 714 ლარით ნაკლები. შესაბამისად შემცირდეს გადასახდელები, კერძოდ, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა შენობა-ნაგებობების“ პუნქტი.

ასევე, განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა შენობა-ნაგებობების“ პუნქტიდან „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში გადატანილ იქნეს 90 357 ლარი; „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „პრემიის“ პუნქტში – 17 804 ლარი; „მეტატარემე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში – 1 000 ლარი; „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის“ ხარჯებში – 626 ლარი; „შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის“ ხარჯებში – 1 064 ლარი; „კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების“ ხარჯში – 1 229 ლარი; „ბუნებრივი და თხევადი აირის“ ხარჯში – 10 000 ლარი;

4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მცირდება 382 937 ლარით, რაც გამოწვეულია სტუდენტთა კონტინგენტის შემცირებით (221 სტუდენტი) და განისაზღვრება 4 989 422 ლარით. ასევე, მცირდება ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა 119 777 ლარით და განისაზღვრება 594 746 ლარით. ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად გასაცემი თანხა გაიზარდა 11 050 ლარით და შეადგინა 273 017 ლარი, აღნიშნული თანხიდან 156 196 ლარი მიემართება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში, 30 233 ლარი – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში, 77 428 ლარი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში, ხოლო 9 160 ლარი – საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში. ამრიგად, ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნებები განისაზღვროს 4 121 659 ლარით, ანუ დაგეგმილზე 274 210 ლარით ნაკლები. შესაბამისად შემცირდეს ეკონომიკური კლასიფიკაციის შემდეგი მუხლები: „მივლინების“ ხარჯები შემცირდეს 24 000 ლარით; „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის“ ხარჯები - 2 600 ლარით; „კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების“ ხარჯები - 3 000 ლარით; „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო/სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის)“ ხარჯები - 10 000 ლა-

რით; „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის“ ხარჯი – 27 200 ლარით; „ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის“ ხარჯები – 89 980 ლარით; „საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი – 8 000 ლარით; „კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების“ ხარჯები - 900 ლარით; „საფოსტო მომსახურების“ ხარჯები - 500 ლარით; „ელექტროენერგიის ხარჯები“ – 15 000 ლარით; „წყლის ხარჯები“ – 25 000 ლარით; „სესიების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების“ ხარჯები – 22 000 ლარით; „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში“ – 340 ლარით; „სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების“ პუნქტი – 20 000 ლარით, ხოლო „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტი – 25 690 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის: კერძოდ: „სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან“ – 10 000 ლარი, „სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის“ ხარჯებიდან – 4 900 ლარი, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ პუნქტიდან – 15 000 ლარი და „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯიდან – 100 ლარი, რომელიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში“, სულ 30 000 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში;

„ვალდებულებების კლების“ მუხლიდან 3 000 ლარი გადატანილ იქნეს „შენობა/ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის“ ხარჯებში, 3 000 ლარი – „წარმომადგენლობით ხარჯებში“; 3 350 ლარი – „რეკლამის“ ხარჯებში; ხოლო 120 ლარი – „ექპერტიზის და შემოწმების“ ხარჯებში. ასევე „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯებიდან“ 80 ლარი გადატანილ იქნეს „ექპერტიზის და შემოწმების“ ხარჯებში.

„საწვავ/საპოხი მასალის შეძენის“ ხარჯებიდან – 4 000 ლარი, „ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის)“ ხარჯიდან – 4 000 ლარი და „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯიდან – 2 480 ლარი, რომელიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში“, სულ 10 480 ლარი გადატანილ იქნეს „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტში.

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტიდან 7 747 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა შენობა-ნაგებობების“ პუნქტში;

5. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტი სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის გამო გაიზარდა 38 912 ლარით და განისაზღვრა 2 232

439 ლარით. ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად გასაცემი თანხა გაიზარდა 11 892 ლარით და შეადგინა 28 789 ლარი, საიდანაც 10 448 ლარი მიემართება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში, 14 341 ლარი – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში, ხოლო 4 000 ლარი – საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსებისთვის გადასაცემი თანხა არ შეცვლილა და შეადგენს 230 320 ლარს; ამრიგად, ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნებები განისაზღვროს 1 973 330 ლარით, ანუ დაგეგმილზე 27 020 ლარით მეტი. შესაბამისად, გაიზარდოს გადასახდელები, კერძოდ, „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლი.

ასევე, განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის: „ინტერნეტის“ ხარჯიდან – 3200 ლარი, „სესიების და კონფერენციების ორგანიზების“ ხარჯიდან – 3000 ლარი და „სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის“ ხარჯიდან – 2000 ლარი, სულ 8 200 ლარი გადატანილ იქნეს „ელექტროენერჯის“ ხარჯში.

„მივლინების“ ხარჯებიდან – 4 000 ლარი და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ პუნქტიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს „ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯში“.

„სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან“ 130 ლარი გადატანილ იქნეს „საკანცელარიო, საწერ–სახაზავი ქაღალდის საბუღალტრო ბლანკების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯში“.

„სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივებიდან“ – 13 000 ლარი, „ნორმატიული აქტების, ჟურნალ გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო სასტამბო ხარჯებიდან“ – 3 565 ლარი, „პრემიის“ პუნქტიდან – 7 892 ლარი, სულ 24 457 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში.

„სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან“ – 3 645 ლარი და „რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯიდან“ – 600 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა მანქანა–დანადგარებისა და ინვენტარის პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“.

„შენობა–ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯიდან“ 1 070 ლარი გადატანილ იქნეს „რეკლამის ხარჯში“;

„საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა–დანადგარების მოვლა–შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯიდან“ – 1 298 ლარი, „კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების ხარჯიდან“ – 2 122 ლარი, „შენობა–ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის“ ხარჯიდან – 764 ლარი და „რბილი

ინვენტარის შეძენის ხარჯიდან“ – 200 ლარი, სულ 4 384 ლარი გადატანილ იქნეს „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტში.

„დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ პუნქტიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების / დემონტაჟის“ ხარჯში;

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტიდან, 6 100 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა შენობა-ნაგებობების“ პუნქტში;

6. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი იზრდება 3 460 ლარით, ხოლო ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებელი თანხა - 5 440 ლარით, რომელიც ინგლისური ენის სწავლის საფასურის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის გადასაცემი თანხაა. შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვრება 3 196 382 ლარით, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დასაფინანსებელი თანხა – 558 761 ლარით, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებელი თანხა – 123 440 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვროს 2 514 181 ლარით, ანუ დამტკიცებულზე 1 980 ლარით ნაკლები, რითაც შესაბამისად შემცირდეს ბიუჯეტის გადასახდელები, კერძოდ „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლის „რეკლამის“ ხარჯების პუნქტი.

ასევე, განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: საქონელი და მომსახურების მუხლის „მივლინების“ პუნქტიდან „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „პრემიის“ პუნქტში გადატანილ იქნეს 10 000 ლარი, ხოლო „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში – 40 000 ლარი.

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტიდან, 31 000 ლარი გადატანილ იქნეს „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტში; 1 000 ლარი – „სამედიცინო ხარჯების“ მუხლის „სამედიცინო დანიშნულების მასალების, ინსტრუმენტების შეძენის“ ხარჯების პუნქტში; 615 ლარი – „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის“ ხარჯების პუნქტში; „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლის „რეკლამის“ ხარჯების პუნქტიდან 40 ლარი გადატანილ იქნეს „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „კავშირგაბმულობის“ ხარჯების პუნქტში;

7. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მცირდება 176 947 ლარით, რაც გამოწვეულია სტუდენტთა კონტინგენტის შემცირებით და განისაზღვრება 2 518 803 ლარით. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა არ იცვლება და განისაზღვრება 90 000 ლარით. ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად გასაცემი თანხა შემცირდა 69 746 ლარით და შეადგინა 48 251 ლარი, აღნიშნული თანხიდან 45 861 ლარი მიემართება ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში, ხოლო 2 390 ლარი – საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში. ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად მისაღები თანხა იზრდება 29 199 ლარით და შეადგენს 170 516 ლარს. ამრიგად, ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნებები განისაზღვრა 2 551 168 ლარით, ანუ დაგეგმილზე 78 002 ლარით ნაკლები, რის შესაბამისადაც შემცირდეს „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტი.

ასევე, განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტი შემცირდეს 13 986 ლარით; ხოლო „პრემიის“ პუნქტი – 29 090 ლარით; „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის“ ხარჯები – 726 ლარით; „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო/სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის)“ ხარჯები – 6 700 ლარით; „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების / დემონტაჟის“ ხარჯი – 8 538 ლარით; „ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის“ ხარჯები – 3 549 ლარით; „შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის“ ხარჯი – 543 ლარით; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი – 500 ლარით; „კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების“ ხარჯები – 605 ლარით; „ელექტროენერგიის ხარჯები“ – 7 000 ლარით; „წარმომადგენლობითი“ ხარჯები – 5 000 ლარით; „ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის“ ხარჯი – 3 000 ლარით; „სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის“ ხარჯები – 100 ლარით; „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში“ – 5 500 ლარით; „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ პუნქტი – 2 060 ლარით; ქონების გადასახადი – 8 232 ლარით; მიწის გადასახადი – 2 818 ლარით; მოგების გადასახადი – 20 201 ლარით; „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის

„კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტი – 638 ლარით; „სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების“ პუნქტი – 38 200 ლარით, ხოლო „ფასეულობების“ მუხლი 1 800 ლარით და სულ 190 385 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში.

ასევე, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტიდან 4 161 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში;

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მცირდება 572 587 ლარით, რაც გამოწვეულია სტუდენტთა კონტინგენტის შემცირებით და ნაშთის ჩათვლით განისაზღვრება 8 629 421 ლარით. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა არ იცვლება და განისაზღვრება –1 564 341 ლარით, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად გასაცემი თანხა იზრდება 11 780 ლარით და შეადგენს 86 695 ლარს, საიდანაც 31 680 ლარი მიემართება სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში, 43 235 ლარი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში, ხოლო 11 780 ლარი – საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში. ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად მისაღები თანხა მცირდება 72 136 ლარით, რომელიც უნდა გადმოცემულიყო სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან და შეადგენს 675 490 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნებები განისაზღვრა 7 653 875 ლარით, ანუ დაგეგმილზე 656 503 ლარით ნაკლები, რითაც შესაბამისად შემცირდეს ბიუჯეტის გადასახდელები, კერძოდ: „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტი შემცირდეს 355 615 ლარით, „პრემიის“ პუნქტი – 50 076 ლარით, „დანამატის“ პუნქტი – 75 654 ლარით, ოფისის ხარჯების „კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების“ პუნქტი – 12 010 ლარით, „ნორმატიული აქტების, საცნობარო ლიტერატურის, საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის)“ ხარჯები – 4 000 ლარით, „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ინვენტარის შეძენა-დამონტაჟების“ ხარჯი – 79 000 ლარით, „ოფისისთვის საჭირო საგნების და მასალების, რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი“ – 3 406 ლარით, „შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები“ – 631 ლარით, „ინტერნეტის ხარჯი“ – 10 400 ლარით, „ელექტროენერჯის ხარჯი“ – 29 950 ლარით, „წყლის ხარჯი“ – 16 970 ლარით, „წარმომადგენლობითი ხარჯები“ – 3 740 ლარით, „რეკლამის“ ხარჯი – 366 ლარით, „სასწავლო მიზნით საჭირო ნივთების და მასალების“ ხარჯები – 500 ლარით, „სესიების, კონფერენციების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების“ ხარჯი – 11 000 ლარით, „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება“ – 3 185 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ პუნქტიდან – 6 025 ლარი, „სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის“ ხარჯებიდან – 2 000 ლარი, „კადრების მომზადება-გადამზადების“ ხარჯებიდან – 2 000 ლარი, „რეკლამის“ ხარჯებიდან – 1 634 ლარი, „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა ხარჯი, რომელიც არ კლასიფიცირდება სხვა დანარჩენ მუხლებში“ – 1 000 ლარი, „ქონების გადასახადიდან“ – 27 004 ლარი, „მიწის გადასახადიდან“ – 9 244 ლარი, „მოგების გადასახადიდან“ – 63 195 ლარი, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯიდან“ – 12 000 ლარი, „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის პუნქტიდან – 50 000 ლარი, „ელექტრომოწყობილობების, რადიო,სატელევიზიო აპარატურის, ავეჯის შეძენის“ პუნქტიდან – 29 000 ლარი, „ლიცენზიები და კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის“ პუნქტიდან – 20 000 ლარი, „სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების“ პუნქტიდან – 25 000 ლარი, სულ 248 102 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში;

„დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ პუნქტიდან 3 365 ლარი და „შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან“ 1 500 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ მუხლში.

„დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების პუნქტიდან“ 53 ლარი გადატანილ იქნეს „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტის“ ხარჯებში, 372 ლარი – „კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების ხარჯებში“, ხოლო 7 000 ლარი – „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში;

9. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის ოფისის ხარჯების „საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა/დანადგარების მოვლა/შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან“ 875 ლარი გადატანილ იქნეს „სესიების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების“ ხარჯებში.

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის“ პუნქტიდან 9 000 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა მანქანა/დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 32 547 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში;

10. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 2 353 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში.

„საწვავ/საპოხი მასალების შეძენის“ ხარჯებიდან 220 ლარი გადატანილ იქნეს „შენობა/ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის“ ხარჯებში;

11. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 4 029 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში; „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „ელექტრომომწობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის“ პუნქტიდან 2 400 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა მანქანა/დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში, ხოლო 100 ლარი – „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტში;

12. ინსტიტუტ „ტალღას“ ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 750 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში;

13. ვლადიმერ ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთ ბიუჯეტში „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 7 842 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში; „წყლის“ ხარჯიდან 1000 ლარი გადატანილ იქნეს „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის“ ხარჯებში, 2 500 ლარი – „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების / დემონტაჟის ხარჯში, 2 310 ლარი – „ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის“ ხარჯში, ხოლო 2 960 ლარი – „საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის“ ხარჯებში.

„ელექტროენერჯის“ ხარჯიდან 11 500 ლარი გადატანილ იქნეს „სამეცნიერო“ ხარჯებში, 1 000 ლარი – „ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის“ ხარჯებში, ხოლო 3 000 ლარი – „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში“.

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „ელექტრომომწობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის“ პუნქტიდან 2 600 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა მანქანა/დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში;

14. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების / დემონტაჟის ხარჯებიდან 7 000 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ მუხლში; 7 000 ლარი – საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის“ ხარჯში, 8 500 ლარი – „ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის“ ხარჯში, ხოლო 2 500 ლარი – „რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევის და ფარდა-ჟალუზების შეძენის“ ხარჯებში; - „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის“ პუნქტიდან 18 080 ლარი გადატანილ იქნეს „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტში; „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 9 719 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში;

15. ჰიდროგეოლოგიისა და საიჟინრო გეოლოგიის ინტიტუტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 3 025 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში; „კავშირგაბმულობის ხარჯიდან“ – 90 ლარი, „ინტერნეტის ხარჯიდან“ – 40 ლარი, „ელექტროენერჯის“ ხარჯიდან – 670 ლარი და „საწვავ/საპოხი მასალების შეძენის“ ხარჯიდან –100 ლარი, სულ 900 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ მუხლში;

16. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „საწვავ/საპოხი მასალების შეძენის“ ხარჯიდან 1 600 ლარი და „მივლინების“ ხარჯებიდან 706 ლარი, სულ 2 306 ლარი გადატანილ იქნეს „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების / დემონტაჟის ხარჯებში“; „საწვავ/საპოხი მასალების შეძენის“ ხარჯიდან 400 ლარი გადატანილ იქნეს საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯებში; „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 1 118 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში;

17. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების / დემონტაჟის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო“ ხარჯებში; „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი

სარგოს“ პუნქტიდან 6 045 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში, ხოლო 2 ლარი – „დანამატის“ პუნქტში;

18. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 3 513 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში;

19. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 33 861 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში;

20. ინსტიტუტ „ტექნიფორმის“ ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტიდან 10 140 ლარი გადატანილ იქნეს „პრემიის“ პუნქტში; „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის“ პუნქტიდან 987 ლარი გადატანილ იქნეს „ელექტრომომწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის“ პუნქტში;

21. „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (პროგრამული კოდი 32 05 05 02 03) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 08 თებერვლის №73 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის N884 ბრძანების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის 2016 წლის 19 ივლისის №15/01 და 21 ივლისის №16/01 წერილებისა და 2016 წლის 21 ნოემბრის №09-1/62/105 შეთანხმების შესაბამისად, მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის 2016 წლის ბიუჯეტი და ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდოს 67 400 ლარით, რომელიც შემოსულობებში აისახოს „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსების თანხებში, ხოლო გადასახდელებში გაიწეროს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „ელექტრომომწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის პუნქტში“;

22. №543904 „TEMPUS“-ის საერთაშორისო საგრანტო პროექტის (ხელმძღვანელი ს. დადუნაშვილი) თანადაფინანსების თანხების ცვლილება განხორციელებულია ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვაში;

23. №544191 - „TEMPUS“-ის საერთაშორისო საგრანტო პროექტის (ხელმძღვანელი ი. მოსაშვილი) ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ მუხლში,

ხოლო თანადაფინანსების თანხებში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: „მივლინების“ მუხლიდან 119 ლარი გადატანილ იქნეს „წარმომადგენლობით ხარჯებში“, ხოლო 5 881 ლარი – „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში;

24. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დასაფინანსებლად ფაკულტეტებიდან გადმოსაცემი თანხა განისაზღვრებოდა 8 473 310 ლარით. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტიდან გადმოსაცემი თანხა მცირდება 119 777 ლარით და ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების განსაკარგავი მოცულობა განისაზღვრება 8 353 533 ლარით. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია, როგორც გადასახდელების შემცირება, ასევე, შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

„შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტი შემცირდეს 160 000 ლარით, „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის“ ხარჯი – 33 040 ლარით; „ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის“ ხარჯი – 79 014 ლარით; „ინტერნეტის მომსახურების“ ხარჯი – 13 450 ლარით; „უნიფორმის შეძენის“ ხარჯები – 4 800 ლარით; „რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევის და ფარდა-ჟალუზების შეძენის“ ხარჯები – 546 ლარით; „ბანკის მომსახურების“ ხარჯი – 3 000 ლარით; „ექსპერტიზის და შემოწმებების“ ხარჯი – 43 070 ლარით; „რეკლამის“ ხარჯი – 2 289 ლარით; „საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების“ ხარჯი – 5 190 ლარით; „აუდიტის მომსახურების“ ხარჯი – 1 450 ლარით; „სასამართლოებისა და სხვა კვაზისასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებო ხარჯი“ – 13 550 ლარით; „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა შენობა-ნაგებობების“ პუნქტი – 3 554 ლარით; „კომპიუტერული მოწყობილობების“ პუნქტი – 36 647 ლარით; „ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის“ პუნქტი – 10 880 ლარით; „სხვა მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტი – 7 608 ლარით. შემცირებული თანხები გადანაწილდეს ეკონომიკური კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში:

„შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში – 289 296 ლარი; „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის“ ხარჯებში – 1 400 ლარი; „კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების“ ხარჯში – 40 ლარი; „მიმდინარე გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს“ პუნქტში – 100 ლარი; „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ პუნქტში – 2 000 ლარი;

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში – 5 475 ლარი.

ასევე, №09/03/2016 შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის (ხელმძღვანელი ა. მოსეშვილი) ხარჯთაღრიცხვის ცვლილებიდან გამომდინარე, „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის“ ხარჯიდან 3 837 ლარის გადატანა „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში, განხორციელებულია ადმინისტრაციის და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვაში;

25. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს 2016 წლის 1-ელი სექტემბრის №120 ხელშეკრულების თანახმად „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ პროექტის დაფინანსებამ შეადგინა 555 410 ლარი, რითაც გაიზარდოს შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან, ხოლო გადასახდელებში გაიწეროს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

26. ს.ს. „BACCA SOFT“-სა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული 2016 წლის 22 ნოემბრის ხელშეკრულების თანახმად, „EMR მობილური კლიენტის ლოკალიზაციისა და დოკუმენტაციის შემუშავების“ ქვეკონტრაქტის დაფინანსებამ შეადგინა 12 288 ლარი, რითაც გაიზარდოს შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან, ხოლო გადასახდელებში 10 414 ლარი გაიწეროს „საქონლისა და მომსახურების“ მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ პუნქტში და 1 874 ლარი - დამატებითი ღირებულების გადასახადში;

27. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის – „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის“ დაფინანსება, 2016 წლის 30 ნოემბრის №217020 საგრანტო ხელშეკრულებით შეადგენს 264 000 ლარს, საიდანაც 10 001 ლარი გათვალისწინებულია პირველი ტრანშით დეკემბერში, რომლითაც შესაბამისად გაიზარდოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის შემოსავლების გრაფა, ხოლო გადასახდელები გაიწეროს შემდეგ მუხლებში: გრანტის მუხლში - 2001 ლარი, სამეცნიერო ხარჯებში - 4 000 ლარი, ხოლო „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში - 4 000 ლარი.

28. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის – „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის“ დაფინანსება, 2016 წლის 30 ნოემბრის №216800 საგრანტო ხელშეკრულებით შეადგენს 240 000 ლარს, საიდანაც 4 500 ლარი გათვალისწინებულია პირველი ტრანშით დეკემბრის თვეში, რომლითაც შესაბამისად გაიზარდოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის შემოსავლების

გრაფა, ხოლო გადასახდელები გაიწეროს შემდეგ მუხლებში: გრანტის მუხლში - 3 700 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაში - 800 ლარი;

29. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო“ ხარჯებში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ყოფილი ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტისათვის 2016 წლის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით ბიუჯეტის დამტკიცებისა და აღნიშნული ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად დაარსებული სამი დამოუკიდებელი ფაკულტეტის – სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის ყოფილი ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტისათვის 2016 წლის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით ბიუჯეტი და აღნიშნული ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად დაარსებული სამი დამოუკიდებელი ფაკულტეტის – სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტები, კერძოდ:

1. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის 2016 წლის განსაკარგავი ასიგნებები განსაზღვრული იყო 8 270 242 ლარით, ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა შეადგინა 6 123 272 ლარი, ანუ შემოსულობების გადასახდელებზე გადამეტებამ (პროფიციტი) შეადგინა 2 146 970 ლარი, რაც გაწერილ იქნეს ახლად შექმნილი ფაკულტეტების ბიუჯეტებში, სტუდენტთა კონტინგენტის, აღებული ვალდებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ხოლო ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით;

2. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის შემოსულობებში პროფიციტიდან გაწერილ იქნეს 555 758 ლარი, დამატებითი კრედიტების საფასურიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 128 000 ლარს, სულ შემოსულობები განისაზღვროს 683 758

ლარით, საიდანაც 27 200 ლარი ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად ინგლისური ენის სწავლის საფასურის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის გადასაცემი თანხაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვრება 656 558 ლარით, რომელიც გადასახდელებში გაიწეროს წარმოდგენილი სახით;

3. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში პროფიციტიდან გაწერილ იქნეს 748 720 ლარი, დამატებითი კრედიტების საფასურიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 58 000 ლარს, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად მისაღები თანხა (ინგლისური ენის სწავლის საფასური) – 105 000 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვრება 911 720 ლარით, რომელიც გადასახდელებში გაიწეროს წარმოდგენილი სახით;

4. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში პროფიციტიდან გაწერილ იქნეს 842 492 ლარი, დამატებითი კრედიტების საფასურიდან მიღებული შემოსავალი - 200 000 ლარი, სულ შემოსულობები განისაზღვროს 1 042 492 ლარით, საიდანაც 24 000 ლარი ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად ინგლისური ენის სწავლის საფასურის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის გადასაცემი თანხაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვრება 1 018 492 ლარით, რომელიც გადასახდელებში გაიწეროს წარმოდგენილი სახით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის იჯარით გასაცემი ფართობის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, კანონით დადგენილი წესით, იჯარით გასცეს გურამიშვილის გამზირის №17-ში მდებარე აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შენობის პირველი სართულის ფოიეში 3 კვ. მ. ფართობი ყავის, არაალკოჰოლური სასმელებისა და მშრალი საკვების სარეალიზაციო აპარატის განსათავსებლად.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე პროფ. დავით ჩიქოვანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ჩამოწერის კომისიის მიერ ადმინისტრაციის ქვეგანყოფილებების ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, სტუ-ის ადმინისტრაციის ქვეგანყოფილებების ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი შპს „ნინო გერგიძესთან“ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართობის 253 კვ.მ.-ით შემცირებისა და დავალიანების დაფარვის გრაფიკის ცვლილების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას დააკმაყოფილოს შპს „ნინო გერგიძის“ თხოვნა საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართობის 253 კვ.მ.-ით შემცირებისა და დავალიანების დაფარვის გრაფიკის ცვლილების შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2017 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2017 წლის ბიუჯეტის შედგენის წესი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე პროფ. გია ასათიანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსებაზე არსებული „მულტიმედიური გარემოს შემსწავლელი საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №2200.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე არსებული „მულტიმედიური გარემოს შემსწავლელი საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე პროფ. შალვა სვანიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსებაზე არსებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 ნოემბრის დადგენილება №2215.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე არსებული „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე პროფ. გრიგორ ხოფერიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსებაზე არსებული უძრავი ქონების ბაზრის ანალიზის ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 ნოემბრის დადგენილება №2216.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე არსებული „უძრავი ქონების ბაზრის ანალიზის ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე პროფ.ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსებაზე არსებული ხელოვნური ინტელექტის მეთოდების და ალგორითმების დამუშავების სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 ნოემბრის დადგენილება №2227.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე არსებული „ხელოვნური ინტელექტის მეთოდების და ალგორითმების დამუშავების სამეცნიერო ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე პროფ. ნოე ხოზრევანიძემ წარმოადგინა საკითხი არსებული სოფლის მდგრადი განვითარების სასწავლო/საექსტენციო საკონსულტაციო ცენტრის ბაზაზე კავკასიის მთის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №2151 და 2016 წლის 16 ნოემბრის დადგენილება №2217.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: არსებული სოფლის მდგრადი განვითარების სასწავლო/საექსტენციო საკონსულტაციო ცენტრის ბაზაზე შეიქმნას კავკასიის მთის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე პროფ. ეზზარ გეგეშიძემ წარმოადგინა საკითხი საზღვაო და სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების სისტემების სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო ცენტრის დასახელებაში ცვლილების შეტანის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №2196.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: შევიდეს ცვლილება საზღვაო და სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების სისტემების სასწავლო-სამეცნიერო და საკონსულტაციო ცენტრის დასახელებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საინჟინრო და გადამამუშავებელი ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №13

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე პროფ. ჯემალ გახოვიძემ წარმოადგინა საკითხი ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის შემუშავების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილს, შემჭიდროებულ ვადაში, შეიმუშაოს და წარმოადგინოს სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომის

d a d g e n i l e b a №14

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის №17 სხდომაზე პროფ. გინა გურეშიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ემერიტუსის წოდების მისანიჭებელი ვაკანსიების კვოტის გაზრდის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 ნოემბრის დადგენილება №2224.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ემერიტუსის წოდების მისანიჭებელი ვაკანსიების კვოტა გაიზარდოს 28 ერთეულამდე.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე